

ლევან ჭაბაშვილი

**თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან
ურთიერთობის საკითხისათვის**

ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხი თრიალეთის კულტურის აღმოჩენასთან ერთად წარმოიშვა და დღემდე ერთ-ერთ გადაუჭრელ სამეცნიერო პრობლემად რჩება. ამ კულტურის აღმოჩენი პროფ. ბ. კუფტინი ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მიუთითებდა თრიალეთის გორასამარხებში აღმოჩენილი ცალკეული არტეფაქტების მსგავსებაზე კრეტის და კონტინენტური საბერძნეთის ბრინჯაოს ხანის მასალებთან [17, 30-31; 18, 93, 96].

საკითხი უფრო აქტუალური გახდა 1940 წელს სამთავროს სამაროვანზე 243-ე გორასამარხში, გრძელი საძვერებელი მახვილის ე.წ. „რაპირის“ აღმოჩენის შემდეგ [11, 5-6, ტაბ. II].

ამგვარი მახვილი უკვე მრავლად არის აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ლილოს I [13, 223, ტაბ. XXIII₃], მრავალწყლის 12-ე [20, 37, ტაბ. XLIV₁] და თეთრი-ქვების I [25, 18, ტაბ. III₁] და 3-ე [22, 348, ტაბ. 47₁] გორასამარხებში.

მსგავსი იარაღის რამდენიმე ეგზემპლარი აღმოჩენილია ასევე სომხეთში [19, 70-71 ტაბ. 35]. ყველა ეს მახვილი თითქმის ერთიმეორის მსგავსია. მათთვის დამახასიათებელია გრძელი, 93-115 სმ. სიგრძის ვიწრო პირი, მკვეთრი შუა ქედით და ვიწრო, მოკლე სატარე ყუნწით. ადრე ამ მახვილების წარმოშობას კრეტა-მიკენურ სამყაროს უკავშირებდნენ [5, 101-102].¹ ს. ესაიანი სომხეთში აღმოჩენილი „რაპირების“ განხილვისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისინი სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც წინა აზიაში, ეგეოსური სამყაროდან იმპორტირებული საგნები იყო, რომელთაც აქ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს [16, 78-80]. ო. ჯაფარიძე გამოთქვამდა აზრს რომ ეს მახვილები თრიალეთის კულტურაში ეგეოსური სამყაროდან უნდა იყოს შემოსული და შემდეგ მათ აქ გარკვეული თავისებური ელფერი მიიღეს [12, 157-159].

¹ ამ მახვილების ეგეოსური წარმოშობის შესახებ აზრი გ. ლომთათიძეს გამოთქმული აქვს XX საუკუნის 40 იანი წლების დასაწყისში თავის საკანდიდატო დისერტაციაში. თუმცა ზემოთ მითითებული წნაშრომი გამოქვეყნდა მხოლოდ 1974 წელს.

1971 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, სადღუღას სამაროვანზე შესწავლილ იქნა №2 გორასამარხი, სადაც აღმოჩნდა გრძელი, 49 სმ-ის სიგრძის მახვილი [3, 56-63. ტაბ. XXIX₄]. ამის შემდეგ ჩნდება აზრი ამ მახვილებისთვის ადგილობრივი პროტოტიპების ძიებისათვის რეალური საფუძვლის შესახებ. ე. გოგაძის მიხედვით სადღუღას ამ მახვილის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა ამიერკავკასიური რაპირების ზოგიერთი ნიშან-თვისების ლოკალურ თავისებურებად მიჩნევა და მათი ეგეოსურ მახვილებზე უფრო ადრეული ხანით დათარიღება [13, 234].

ამგვარად, შესაძლებელი გახდა სამხრეთ კავკასიაში „რაპირების“ გამოჩენის თარიღის დაძველება. რადგანაც, როგორც ცნობილია სამხრეთ კავკასიურ „რაპირებს“ ადარებდნენ კრეტასა და საბერძნეთში გავრცელებულ ტიპის რაპირებს, რომლებიც ძვ.წ. XVI ს-ით თარიღდება [27, 22], რის გამოც სამხრეთ კავკასიაში მათი იმპორტირების დათარიღება ძვ.წ. XVI საუკუნეზე ადრეული ხანით შეუძლებელი იყო. ამიტომ, მახვილების თარიღს ტ. მარტიროსიანი ძვ.წ. XVI-XV სს-ით [19, 71], ს. ესაიანი ძვ.წ. XV ს-ით [16, 78-80], ე. გოგაძე კი ძვ. წ. XVI ს-ით [2, 65] საზღვრავდნენ.

მოგვიანებით ლილოს №1 გორასამარხში აღმოჩენილი კიდევ ერთი „რაპირა“ ე. გოგაძემ უკვე ძვ.წ. XVII-XVI სს. ის მიჯნით დაათარიღა [13, 233]. თეთრი-ქვების სამაროვანზე №1 გორასამარხში აღმოჩენილი „რაპირა“ კი ძვ. წ. 1700-1600 წწ-ით დათარიღდა [25, 21].

სამხრეთ კავკასიური „რაპირებისადმი“ მიძღვნილ უახლეს გამოკვლევაში ამ მახვილების პროტოტიპებად (ისევე როგორც ეგეოსური რაპირებისთვის) მიჩნეულია ანატოლიური ადრებრინჯაოს ხანის მახვილები [21, 2-3]. იგივე ავტორი სხვა სტატიაში სამხრეთკავკასიური „რაპირებს“ თრიალეთის კულტურის II ფაზისათვის დამახასიათებელ იარაღად თვლის და მათ და ასევე თრიალეთის II ფაზის ზედა თარიღს ახალი მონაცემების საფუძველზე ძვ.წ. XIX საუკუნის შუახანებით განსაზღვრავს [1, 51].

ამრიგად, დღეისათვის შესაძლებელია კავკასიაში „რაპირების“ შემცველი კომპლექსების ძვ. წ. XVI საუკუნეზე ადრეული ხანით დათარიღება. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ არ არსებობს აუცილებლობა სამხრეთკავკასიური რაპირების ეგეოსურ იმპორტად მიჩნევის და შესაძლებელია მათი ეგეოსურ პარალელებზე უფრო ადრეული ხანით დათარიღება.

თრიალეთის კულტურისა და ეგეოსური სამყაროს შესაძლო ურთიერთობების დამადასტურებელი ფაქტად ამ მახვილის გარდა

სამეცნიერო ლიტერატურაში კიდევ რამდენიმე არტეფაქტი განიხილება [2, 60, 74, 85; 8, 43-53; 9 103-106; 10, 68-74].

მ. აბრამიშვილის მიერ სამხრეთკავკასიური „რაპირების“ წარმომავლობის კვლევისას გამოყენებული მოდელი – საერთო პროტოტიპების ძიება როგორც სამხრეთკავკასიური ასევე ეგეოსური მახვილებისთვის და არა პირდაპირი კავშირის ძიება ამ ორ რეგიონს შორის – ჩვენის აზრით მნიშვნელოვანია. ამ მოდელის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს ასევე ზოგიერთი სხვა არტეფაქტების წარმომავლობის საკითხის შესასაწავლად. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან არტეფაქტს წარმოადგენს 1938 წელს შესწავლილ თრიალეთის XV გორასამარხში აღმოჩენილი სპილენძის ორყურა ქვაბი. ლითონის ამ ჭურჭელის პარალელად ასახელებენ მიკენის A წრის 4-ე ჭა-სამარხში აღმოჩენილ ასეთივე ფორმის სპილენძ/ბრინჯაოს ჭურჭელს. ქვემოთ ვიძლევი-ით ამ ორი არტეფაქტის მოკლე აღწერას:

1. თრიალეთი. გორასამარხი XV, დამზადებულია თხელი სპილენძის ფურცლისაგან. ჭურჭლის პირი დამზადებული ცალკე ბრტყელი ლითონის ფურცლისგან (სიგანე 2-2.2 სმ) რომელიც კორპუსზე მიმაგრებულია ლითონის 22 მაჭვლით. 1,5 სმ სისქის სახელურები დამზადებული ერთმანეთზე მირჩილული ლითონის ფურცლებისგან და ლითონის მანჭვლებითვე მიბმულია ჭურჭლის კორპუსზე. ძირი ქვემოთ არის გამოზნექილი. პირის დმ. 48-50 სმ; კედლის სისქე-0.1 სმ; პირის სისქე 0,2-0.3 სმ [15, 20, 88; 2, ტაბ. 22_{1,2}].

2. მიკენი. ჭა-სამარხი IV, დამზადებული სპილენძის (არ ჩა-ტარებულია ლითონის ანალიზი) ფურცლისგან განწვევის მეთოდით. პირი ოდნავ გარეთ არის გადმონეული. ჭურჭლის პირს სიმყარის შესანარჩუნებლად ორივე მხრიდან ლითონის ფირფიტის ვიწრო ზოლი აქვს მიმაგრებული ლითონის ბრტყელი მანჭ-ვლებით². ოთხნახნაგა ვერტიკალური ყური ბოლოებში წვეტიანი ოვალის მოყვანილობის ფირფიტის ფორმას იღებს და 3-3 ბრტყელი მანჭვლით არის მიმაგრებული კორპუსზე. სახელურების ზედა ნაწილი ნაკანრი თევზიფხური ორნამენტით არის შემკული. ჭურჭლის სიამღლე 38,4 სმ., სახელურების ჩათვლით 45 სმ., პირის დმ. - 55,5 სმ. [23, გვ. 91, ტაბ. 4₂₅].

ამრიგად, როგორც ამ აღწერიდან ჩანს ეს ორი არტეფაქტი საკმაოდ გავს ერთმანეთს. ეს მსგავსება პირველად შენიშნა გერმანელმა მეცნიერმა ჰ. მათეუსმა [24, 585]. ხოლო რამდენიმე

²მანჭვლების რაოდენობა პუბლიკაციაში არ არის დასახელებული, თუმცა როგორც ტაბულიდან ჩანს ისევე როგორც თრიალეთური ქვაბის შემთხვევიდან აქაც 22 ცალი უნდა იყოს. [23, ტაბ. 4₂₅].

ნლის მერე მისგან დამოუკიდებლად ამ მსგავსებაზე მიუთითებს კ. რუბინსონი [26, 284-285].

ამ ორი არტეფაქტების შედარებისას წარმოიშვება უმნიშვნელოვანესი კითხვა, თუ რას უნდა ნიშნავდეს მათი ვიზუალური მსგავსება. კ. რუბინსონის მიხედვით ამ ქვაბების და ასევე სხვა არტეფაქტების ტექნიკური და სტილისტური მსგავსება თრიალეთსა და ეგეოსში, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ ორ რეგიონს შორის არსებულ ურთიერთგავლენების შედეგი. მიუხედავად იმისა რომ მთლად ნათელი არ არის თუ რა სახით შეიძლებოდა განხორციელებულიყო ეს კონტაქტები [21, 284-285].

მ. ფუთურიძე ამ არტეფაქტების შედარებისას აღნიშნავს რომ „... ეს კიდევ ერთი მინიშნებაა სამხრეთ კავკასიურ – ეგეოსური სამყაროს კულტურული კონტაქტებისა და ზეგავლენის სასარგებლოდ“ [9, 103].

ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს თუ რამდენად არის დამახასიათებელი ჭურჭლის ეს ფორმა როგორც სამხრეთ კავკასიაში ისე კრეტა-მიკენში. წარმოადგენს ეს ფორმა ადგილობრივი ჭურჭლის ფორმების განვითარების შედეგს თუ იგი უეცრად, ყოველივე წინაპირობის გარეშე ჩნდება მატერიალურ კულტურაში და ამის საფუძველზე იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რეგიონთაშორისი კავშირების არსებობის დამადასტურებელი ფაქტი.

ლითონის ჭურჭელი და მათ შორის ბრინჯაოს ან სპილენძის ქვაბიც სამხრეთ კავკასიაში პირველად თრიალეთის კულტურის ძეგლებზე გვხვდება. იგი აღმოჩენილია თრიალეთის V³ და XV გორასამარხებში [2, ტაბ. 17₁₉; ტაბ. 22₁₂]. ოროზმანის 3-ე გორასამარხში [4, 40, ტაბ. LXX₁], თეთრი ქვების I გორასამარხში [25, 18, ტაბ. 3₁₁], სადულას 2-ე გორასამარხში [3, 56, 58] და სომხეთის [14, 20-21., ტაბ. II₄; 19, 64, ტაბ. 31₂] ძეგლებზე. ყველა ეს ქვაბი ტიპოლოგიურად რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს⁴ ხოლო თრიალეთის XV გორასამარხის ქვაბს სამეცნიერო ლიტე-

³ასევე კიდევ ერთი ოთხყურიანი ქვაბი აღმოჩენილი ყოფილა თრიალეთის V გორასამარხში, ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ აქ გათხრების დაწყებამდე, როდესაც აქ ქვების ამოღება დაუწყია მოსახლეობას. ეს ქვაბი სამუხაროდ არ შემოინახა დღემდე [6, გვ. 36]

⁴თრიალეთის კულტურის სპილენძ/ბრინჯაოს ქვაბების შესახებ სპეციალური გამოკვლევების გამოქვეყნება 2009 წლისთვის იგეგმება [7]

⁵შესაძლებელია, რომ ასეთივე ფორმა ჰქონდეს სადულას 2-ე გორასამარხში აღმოჩენილ ლითონის ქვაბს, რომელიც დღეისათვის ძლიერ არის ფრაგმენტირებული და მისი აღდგენა არ ხერხდება. ინფორმაცია ამის შესახებ მოგვწოდა ქალბატონმა რ. რუსიშვილმა.

რატურაში ცნობილ ლითონის ჭურჭლებს შორის პარალელები არ მოეძებნება⁵.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიკენის IV ჭა-სამარხში აღმოჩენილი ქვაბიც კრეტა-მიკენურ კულტურაში ერთადერთია და არც ის არის იმ რეგიონისთვის ტიპური ჭურჭლის ფორმა. გერმანელი მეცნიერი ჰ. მათეუსი რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ამ რეგიონის ბრინჯაოს ჭურჭელი ბრინჯაოს და სპილენძის 47 ქვაბს აერთიანებს 8 სხვადასხვა ტიპში, აქედან ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელი ცალკეა გამოყოფილი როგორც 3a ტიპი და ის ერთადერთი ეგზემლარით არის წარმოდგენილი. ჰ. მათეუსი აღნიშნავს რომ „ქვაბის სახელურის მიმაგრების და ჭურჭლის პირის შედგენას პარალელები მოეძებნება ეგეოსურ კულტურის წრეში, თუმცა თვით ჭურჭლის ფორმა და ზედაპირის დამუშავება უცხოა“ [23, 91].

ჯერ კიდევ გ. კარო ფიქრობდა მიკენის ამ ჭურჭლის შესაძლო შემოტანაზე სხვა რეგიონიდან. ჰ. მათეუსისთვისაც⁶ ღიად რჩება მთავარი საკითხი, მიკენის აღნიშნული ქვაბი წარმოადგენს თუ არა აღმოსავლურ იმპორტს თუ იგი რომელიმე აღმოსავლური პროტოტიპის მიხედვით არის დამზადებული. იგი განიხილავს რამდენიმე პარალელს. აქედან მნიშვნელოვანია ლიბანში (სავარაუდოდ ბიბლოსში) აღმოჩენილი ოქროს მცირე ზომის მსგავსი ფორმის ქვაბი (სიმაღლე 6 სმ., პირის დმ.-10 სმ.), რომელიც ძვ.წ. 1800 წლის ახლო ხანებით თარიღდება. ასევე აღნიშნავს ურის III დინასტიის ხანით დათარიღებულ ქვაბს ასურიდან, რომელზეც სახელურის შედგენის იგივე წესი არის დაფიქსირებული. [23, 91-92]. და ასევე ებლაში აღმოჩენილ ვერცხლის მცირე ზომის (პირის დმ. 13 სმ.) ქვაბის მსგავს ჭურჭელს, რომელიც ძვ. წ. 1750 წლის ახლო ხანებით თარიღდება [24, 580-585].

ამრიგად, თრიალეთის XV გორასამარხის ქვაბსა და მიკენის A წრის IV ჭა-სამარხის ქვაბს შორის ვიზუალური მსგავსება შემთხვევითი არ არის თუმცა ეს არ არის აუცილებლად სამხრეთ კავკასიასა და კონტინენტურ საბერძნეთს შორის ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში განხორცილებული კონტაქტის დამადასტურებელი ფაქტი. იმის გამო რომ ორივე ამ რეგიონში მსგავსი ფორმის ლითონის ჭურჭელი უცხოა და მხოლოდ ერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ამ არტეფაქტების პროტოტიპი მესამე სხვა რეგიონში არის საძიებელი. ძველადმოსავლური რეგიონების არათანაბარი არქეოლოგიური შესწავლის გამო დღეისათვის რთულია თქმა თუ

სად შეიძლებოდა წარმოშობილიყო ამ ფორმის ლითონის ჭურჭელი. მოტანილი პარალელები თითქოს უფრო ლევანტე, ჩრდილო სირიასა და ჩრდილო მესოპოტამიაზე უნდა მიუთითებდეს. კიდევ უფრო რთულია იმის დადგენა რა მექანიზმების საშუალებით ხორციელდებოდა ერთ რეგიონში ჩამოყალიბებული ლითონის ჭურჭლის გავრცელება სხვა რეგიონებში. აღნიშნული საკითხი კვლავ მომავალი კვლევების ამოცანად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. აბრამიშვილი, თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები „მაღალი ქრონოლოგიისათვის“). კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები. ყურნალ ძიებანის დამატებანი X, თბილისი 2003, გვ. 48-52
2. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი 1972
3. შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, სადულას ველის შუაბრინჯაოს ხანის № 2 ყორღანი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI, თბილისი 1984, გვ. 56-63
4. კ. კახიანი, ე. ლლივაშვილი, ზ. ცქვიტინიძე., გ. კალანდაძე., ა. კალანდია., ბ. შერეზადიშვილი, არქეოლოგიური გათხრები დმანისის რაიონში 1989-1990 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბილისი 2004, გვ. 39-44
5. გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი 1974
6. გ. ნარიმანიშვილი, სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბილისი 2009 (იბეჭდება)
7. რ. რუსიშვილი, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი სპილენძ-ბრინჯაოს ქვაბები (ძვ. წ. II ათასწ. I ნახევარი). თბილისი 2009 (ხელნაწერი)
8. მ. ფუთურიძე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის ძველდამოსავლურ სამყაროსთან კონტაქტის საკითხისათვის. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია №2. თბილისი 1983, გვ. 40-56

9. მ. ფუთურიძე, სამხრეთ კავკასია-ეგეოსური სამყაროს კულტურული კონტაქტების საკითხისათვის ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში. ენა და კულტურა №3, თბილისი 2002, გვ. 100-109
10. მ. ფუთურიძე, ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ. ძიებანი 17-18, თბილისი 2006, გვ. 66-76
11. ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი №243. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის ტ. I, თბილისი 1955, გვ. 5-28
12. ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. ქართველ ტომთა ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. II ათასწლეულში. თბილისი 1969
13. Е.М. Гогодзе, Курганные погребения Лилю. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXII, თბილისი 1976, გვ. 223-251
14. С.Г.Деведжян. Лори Берд I, Ереван 1981
15. Л.Г.Жоржикашвили, Э.М.Гогодзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы (раскопки 1936-1940, 1947-1948 гг.). Каталог триалетских материалов II, Тбилиси 1974
16. С.А. Есян. Оружие и военное дело древней Армении (III-I Тыс. до н. э.). Ереван 1966
17. Куфтин. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. Краткие Сообщения Института Историй и Материальной Культуры VIII, Тбилиси 1940, с. 5-35.
18. Б. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси 1941.
19. А.А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван 1964
20. К.Н. Пицхелаური, В.В. Варазашвили, М.В. Кинцурашвили. Ц. Н. Менабде. Д.Л. Квавадзе. Археологические исследования в Кахети. Полевые археологические исследования в 1984-1985 гг. Тбилиси 1987, с. 36-38
21. Abramishvili M., Transcaucasian Rapiers and the Problem of their Origin, Lux Orientis, Archäologie zwischen Asien und Europa. Festschrift für Harald Hauptmann zum 65 Geburtstag. Westf. 2001, pp.
22. Bertram, J-K und Picxelauri K. mit Beiträgen von K. Picxelauri, V. Varazašvili, L. Aebašvili, G. Kastl. J.Nieling, M.Kibarođlu. Vorbericht zu den Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) im Jahre 2005. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan 37, 2005, s. 323-364

23. H. Matthäus, Die Bronzegefäße der kretisch-mykenischen Kultur. Prähistorische Bronzefunde, Abteilung II. Band 1, München 1980
24. H. Matthäus, Orientalische und ägäische Toreutik in der mittleren und beginnenden späten Bronzezeit Ebla, Kreta und Mykenai. Germania 61. 2. Halbband, Mainz am Rhein 1983, s. 579-585.
25. Picxelauri K., Orthmann W. Der Kurgan „Tetri Kwebi I“. Georgica, Heft 15, Konstanz 1992 s.15-22
26. K.S.Rubinson, Mid-Second Millenium Pontic-aegean Connections: A Note to Chapter 12. Morris Silver (ed.), Ancient economy and mythology. East and West. Totowa 1991, pp. 283-286
27. Sandars 1961. K.N. Sandars. The first Aegean Swords and their ancestry, American Journal of Archaeology, vol.65. №11. 1961

ტაბულის აღწერილობა:

1. მიკენის A წრის IV ჭა-სამარხის ქვაბი. Matthäus 1980 მიხედვით. ტაბ. 4₂₅.
2. თრიალეთის XV ყორღანის ბრინჯაოს ქვაბი. გოგაძე 1972 მიხედვით. ტაბ. 22₁₂.
3. ოქროს ქვაბი ლიბანიდან, სავარაუდოდ ბიბლოსიდან. Matthäus 1983 მიხედვით. ტაბ. 6
4. ვერცხლის ჭურჭელი ებლადან. Matthäus 1983 მიხედვით. ტაბ. 1

Beschreibung der Abbildung

1. Bronze/Kupfer Kessel aus Schachtgrab IV (A Kreis) aus Mykene. Nach Matthäus 1980 Abb. 4₂₅.
2. Bronze Kessel aus Trialeti Kurgan XV. Nach Gogadze 1972 Abb. 22₁₂.
3. Goldene Kessel aus Libanon (warscheinlich aus Byblos). Nach Matthäus 1983. Abb. 6
4. Silberne Schale aus Ebla. Nach Matthäus 1983 Abb. 1

Levan Tchabaschvili

**Über die Frage der Beziehungen der
Trialeti Kultur mit der ägäischen Welt**

Zusammenfassung


In dem Artikel geht es um die Frage der Herkunft eines bronzenen Kessels aus dem Trialeti Kurgan XV, der im Jahre 1938 auf dem Tsalka Plateau in Südgeorgien gefunden wurde. Der Kessel wird seit den 80er Jahren des 20. Jhs. mit einem Kessel aus dem Schachtgrab IV (A Kreis) von Mykene verglichen. Einige Autoren behaupten aus diesem Grund direkte oder indirekte Kontakte zwischen diesen zwei Regionen in der 1. Hälfte des 2. Jts. v. Chr. erkennen zu können. In diesem Artikel wird die Frage der überregionalen Verbindungen diskutiert. Es wird versucht zu beweisen, dass visuelle Ähnlichkeiten zwischen zwei Artefakten aus Südkasien und aus der Ägäis nicht unbedingt auf Kontakte zwischen diesen zwei Regionen hinweisen. Es scheint möglich zu sein, das Vorbild dieser beiden Artefakte in einer dritten Region, wahrscheinlich dem levantinischen-nordmesopotamischen Raum zu finden. Auf die orientalische Herkunft des mykenischen Kessels wies der Deutsche Wissenschaftler H. Matthäus bereits in den 80er Jahren des 20. Jhs. hin.



1



1



2



3



4